



საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
პროფესიული პროგრამების დებულება

თბილისი
2018 წელი

მუხლი 1. საგანმანათლებლო პროგრამებით მისანიჭებელი კვალიფიკაციები

- 1.1. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესიული პროგრამის წარმატებით დასრულების საფუძველზე, სტუდენტს ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია.
- 1.2. კვალიფიკაცია სტუდენტს ენიჭება კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი კრედიტების მიღების შემთხვევაში, კომისიის მიერ, რომლის შემადგენლობას ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.

მუხლი 2. სწავლის ხანგრძლივობა და აკადემიური კალენდარი

- 2.1. სასწავლო პროცესის დაწყებისა და დასრულების თარიღები ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (www.agruni.edu.ge).
- 2.2. როგორც წესი, საქართველოს შრომის კოდექსის მე-20 მუხლით დადგენილი უქმე დღეების განმავლობაში სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობს.

მუხლი 3. საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი)

- 3.1. საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი) შედგება სავალდებულო და არჩევითი საგნებისაგან.
- 3.2. უნივერსიტეტის რექტორი ცვლის და ანახლებს საგანმანათლებლო პროგრამას (კურიკულუმს). უნივერსიტეტი შეცვლილ და განახლებულ კურიკულუმს აქვეყნებს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია სისტემატურად თვალ-ყური ადევნოს და გაეცნოს ვებ-გვერდზე განთავსებულ კურიკულუმს.

მუხლი 4. პროფესიული სტუდენტის მიერ კრედიტების მიღება

- 4.1. კრედიტი არის ერთეული, რომელიც გამოხატავს პროფესიული სტუდენტის მიერ ერთი საგნის ასათვისებლად შესრულებული სამუშაოს მოცულობას და გამოიყენება პროფესიული სტუდენტის მიერ გაწეული საქმიანობის შესაფასებლად.
- 4.2. პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტი გულისხმობს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საგნის/სასწავლო კურსის წარმატებით გავლას (დადებითი შეფასების მიღებას).
- 4.3. პროფესიულ სტუდენტს კრედიტები ენიჭება მხოლოდ საგნის/სასწავლო კურსის წარმატებით დასრულების შედეგად.
- 4.4. საგნის/სასწავლო კურსის განმეორებით გავლისათვის პროფესიულმა სტუდენტმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტის სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს/პროფესიული პროგრამის განმახორციელებელ ადმინისტრაციას.

მუხლი 5. შეფასება და აკადემიური მოსწრების გამოთვლა

- 5.1. არსებობს ხუთი სახის დადებითი შეფასება:
 - 5.1.1. (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91%-100%;
 - 5.1.2. (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81%-90%;

- 5.1.3. (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71%-80%;
- 5.1.4. (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61%-70%;
- 5.1.5. (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51%-60%.
- 5.2. არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება:
- 5.2.1. (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41%-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე კიდევ ერთხელ გასვლის უფლება;
- 5.2.2. (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
- 5.3. პროფესიული სტუდენტის ცოდნა ფასდება შუალედური და დასკვნითი შეფასებით. დასკვნითი შეფასება არის სავალდებულო. თუ პროფესიული სტუდენტი არ მიიღებს დასკვნით შეფასებას, მას კურსი არ ჩაეთვლება გავლილად.
- 5.4. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.
- 5.5. პროფესიულ სტუდენტს, რომელიც შუალედური შეფასების დროს დისკვალიფიცირებული იქნა შეფასების მიმდინარეობისას, არ აქვს უფლება განმეორებით გავიდეს შუალედურ შეფასებაზე.
- 5.6. გამოცდაზე გასვლის შეუძლებლობის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი მიმართავს უნივერსიტეტს განცხადებით.
- 5.7. უნივერსიტეტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, ნებისმიერ სასწავლო კურსში/საგანში ჩაატაროს ნებისმიერი ფორმის შუალედური და დასკვნითი შეფასება.
- 5.8. საგნის/სასწავლო კურსის სილაბუსით დადგენილი შეფასების ფორმები როგორც წესი ტარდება უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრში, „გამოცდების ჩატარების წესის“ შესაბამისად. პროფესიული პროგრამის ადმინისტრაცია, ლექტორი და პროფესიული სტუდენტი ვალდებული არიან დაიცვან „გამოცდების ჩატარების წესი“.
- 5.9. პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული ყველა შეფასება რეგისტრაციის, ზუსტი აღრიცხვისა და აკადემიური მოსწრების გამოთვლის მიზნით გადაეცემა შესაბამისი პროფესიული პროგრამის ადმინისტრაციას.
- 5.10. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის გამოცდების წესის შესაბამისად საგამოცდო ნაშრომის გადამოწმება მოითხოვოს საგნის ლექტორთან.
- 5.11. საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევის მიზნით, სწავლისა და სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის ლექტორი უფლებამოსილია შეიმუშაოს პროფესიული სტუდენტის შეფასების საკუთარი სისტემა, რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონმდებლობითა და საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ წესებს და დეტალურად იყოს ასახული კონკრეტული საგნის/სასწავლო კურსის სილაბუსში.
- 5.12. თუ პროფესიული სტუდენტი არ გამოცხადდა დასკვნით გამოცდაზე, იგი ფასდება 0-ით.
- 5.13. თუ პროფესიული სტუდენტს საგანში მიღებული აქვს F შეფასება, იგი საგანს განმეორებით შეისწავლის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პირველივე შესაძლებლობისას.

მუხლი 6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება

- 6.1. პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეიძლება შეჩერებულ იქნეს არაუმეტეს 5 წლის ვადით. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.
- 6.2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
 - 6.2.1. პროფესიულ სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის დადებული ხელშეკრულების პირობების დარღვევა;
 - 6.2.2. აკადემიური შვებულება;
 - 6.2.3. პროფესიული სტუდენტის პირადი განცხადება;
 - 6.2.4. უნივერსიტეტისადმი ფინანსური დავალიანების არსებობა;
 - 6.2.5. პროფესიული სტუდენტის მიმართ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი გადაწყვეტილება.
 - 6.2.6. თუ პროფესიული პროგრამის სტუდენტი სწავლის დაწყებიდან პროგრამის განმავლობაში ვერ მიიღებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ შესაბამისი ოდენობის კრედიტებს.
- 6.3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს რექტორი და გამოიცემა შესაბამისი ბრძანება.
- 6.4. პროფესიული სტუდენტის აკადემიური შვებულების საფუძველია:
 - 6.4.1. საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელება;
 - 6.4.2. სავალდებულო სამხედრო სამსახური;
 - 6.4.3. ხანგრძლივი შრომისუუნარობა;
 - 6.4.4. ოჯახური პირობები/გარემოებები.
- 6.5. აქტიური სტატუსის მქონე პროფესიულ სტუდენტს, რომელსაც სურს დროებით არ ისარგებლოს უნივერსიტეტის მომსახურებით, ვალდებულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების/აკადემიური შვებულების აღების თაობაზე წერილობით მიმართოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას;
- 6.6. თუ პროფესიული სტუდენტი 6.5 პუნქტში აღნიშნულ დოკუმენტს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას წარუდგენს, პროგრამის დაწყებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, პროფესიულ სტუდენტს არ დაეკისრება პროგრამაზე სწავლის საფასურის გადახდის ვალდებულება.
- 6.7. პროფესიული სტუდენტი, რომელიც პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების/აკადემიურ შვებულების აღების შესახებ განცხადებას, უნივერსიტეტის ადმინისტრაციას წარუდგენს პროგრამის დაწყებიდან 30 კალენდარული დღის შემდეგ, პროგრამის მომსახურება ჩაეთვლება მიწოდებულად.
- 6.8. პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტების საერთო რაოდენობაში.
- 6.9. პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, იგი კარგავს შეფასებების მიღების უფლებას და უნივერსიტეტი უფლებამოსილია პროფესიულ სტუდენტს შეუჩეროს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

6.10. სტატუსის აღდგენის მიზნით, პროფესიული სტუდენტი წერილობითი განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტის სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს.

6.11. პროფესიულ სტუდენტს სტატუსი აღუდგება უახლოესი ჯგუფის ფორმირებამდე.

მუხლი 7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

7.1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

7.1.1. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება;

7.1.2. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;

7.1.3. პირადი განცხადება;

7.1.4. პროფესიული სტუდენტის მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, რომელიც გამორიცხავს პროფესიული სტუდენტის მონაწილეობის შესაძლებლობას სასწავლო პროცესში;

7.1.5. პროფესიული სტუდენტის ეთიკის კოდექსის დარღვევის საფუძველზე, უნივერსიტეტის ეთიკის საბჭოს გადაწყვეტილება;

7.1.6. გარდაცვალება.

7.2. უნივერსიტეტი უფლებამოსილია სტუდენტის ეთიკის კოდექსის დარღვევის გამო პროფესიულ სტუდენტს შეუწყვიტოს პროფესიული სტუდენტის სტატუსი და ასევე, გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები.

მუხლი 8. სასწავლო პროგრამის გაუქმება და მობილობა

8.1. სასწავლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის გადაყვანას საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის შესაბამის პროგრამაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

8.2. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ისარგებლოს შიდა და გარე მობილობის უფლებით.

8.3. შიდა და გარე მობილობის პროცესის ორგანიზება ხორციელდება უნივერსიტეტში არსებული შიდა და გარე მობილობის წესების შესაბამისად.

8.4. თუ პროფესიული სტუდენტი სწავლობს პროგრამაზე, რომელზეც სწავლის საფასური არის ნაკლები, ვიდრე იმ პროგრამაზე, რომელზეც პროფესიულ სტუდენტს სურს შიდა მობილობით გადასვლა, პროფესიული სტუდენტი ვალდებულია გადაიხადოს გავლილი სემესტრების რაოდენობის შესაბამისი განსხვავება სწავლის საფასურში;

8.5. გარე მობილობის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის მიერ სხვა უმაღლეს ან პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული ECTS კრედიტები შესაძლებელია აღიარებულ იქნეს საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

8.6. კრედიტის აღიარების თხოვნით პროფესიულმა სტუდენტმა უნდა მიმართოს უნივერსიტეტის შესაბამის პროგრამის განმახორციელებელ ადინისტრაციას.

8.7. ამ მუხლის 8.5 პუნქტში აღნიშნული პროცედურის გავლის შემდეგ მობილობის მსურველმა პირმა საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

8.7.1. პროფესიული სტუდენტის სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი);

8.7.2. შესწავლილი საგნების სილაბუსები;

8.7.3. პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

8.7.4. ელექტრონული ფოტოსურათი (ზომით 3/4).

8.8. მობილობის შემთხვევაში, შესაძლოა საჭირო გახდეს პროფესიული სტუდენტის მიერ საგნის/სასწავლო კურსის ათვისების ფაქტობრივი დადასტურება, რისი ფორმაც არის გასაუბრება, ზეპირი ან წერილობითი გამოცდა, ესე, ტესტირება, დამატებითი ინფორმაციის წარდგენა, ან/და „გამოცდების ჩატარების წესით“ დადგენილი შეფასების სხვა ფორმები.

მუხლი 9. სწავლის დაფინანსება

9.1. სწავლის გადასახადს პროფესიული სტუდენტი სრულად ფარავს პროგრამაზე სწავლის განმავლობაში პროფესიულ სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება შევსებული და ხელმოწერილი უნდა იქნეს უშუალოდ პროფესიული სტუდენტის მიერ, ხოლო თუ პროფესიული სტუდენტი არასრულწლოვანია - მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ.

9.3. ხელშეკრულება ფორმდება ორ ეგზემპლარად; ერთი ეგზემპლარი გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს, ხოლო მეორე - უნივერსიტეტს.

9.4. ხელშეკრულებაში პროფესიულმა სტუდენტმა უნდა მიუთითოს:

9.4.1. პროფესიული სტუდენტის სახელი და გვარი, ხოლო არასრულწლოვანების შემთხვევაში, აგრეთვე კანონიერი წარმომადგენლის სახელი და გვარი;

9.4.2. პროფესიული სტუდენტის პირადი ნომერი, ხოლო არასრულწლოვანების შემთხვევაში, აგრეთვე კანონიერი წარმომადგენლის პირადი ნომერი;

9.4.3. პროფესიული სტუდენტის საცხოვრებელი ადგილის მისამართი;

9.4.4. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება;

9.4.5. არასრულწლოვნობის შემთხვევაში ხელშეკრულებას უნდა დაერთოს სტუდენტის კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი.

9.5. უნივერსიტეტი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები, თუ ამით უმჯობესდება პროფესიული სტუდენტის მდგომარეობა, ასევე იმ შემთხვევაში, თუ განხორციელდა ცვლილება უნივერსიტეტის წესდებაში, სტუდენტის ეთიკის კოდექსში, გამოცდების ჩატარების წესში და უნივერსიტეტის სხვა მარეგულირებელ აქტებში.

9.7. უნივერსიტეტი უფლებამოსილია გაზარდოს სწავლის საფასური, მაგრამ არა უმეტეს წინა სასწავლო წლის საფასურის 12%-ის ოდენობით.

9.8. სწავლის საფასური შეიძლება გაიზარდოს 12%-ზე მეტით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წლიური ინფლაცია ან/და ეროვნული ვალუტის დევალვაცია დოლართან მიმართებაში ოფიციალური მონაცემებით, გადააჭარბებს 12%-ს.

მუხლი 10. უნივერსიტეტის მიერ გაცემული დოკუმენტები

10.1. ნებისმიერ პროფესიულ სტუდენტს ან კურსდამთავრებულს შეუძლია უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში მიიღოს მის მიერ მიღებული შეფასებების ფურცელი და სხვა ცნობები.

10.2. პროფესიული სტუდენტის მოთხოვნის შემთხვევაში, უნივერსიტეტი გასცემს დამოწმებულ ცნობას პროფესიული სტუდენტის სტატუსის შესახებ. ცნობა გაიცემა სწავლის ფაქტის დასადასტურებლად, მიღებული შეფასებების დასადასტურებლად და პროფესიული სტუდენტის შესახებ უნივერსიტეტის ხელთარსებული სხვა ინფორმაციის დასადასტურებლად.

მუხლი 11. უნივერსიტეტის ვებ-გვერდი და პროფესიული სტუდენტის ელექტრონული ფოსტა

11.1. საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.agruni.edu.ge.

11.2. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია რეგულარულად გაეცნოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციას და თვალ-ყური ადევნოს სიახლეებსა და ცვლილებებს.

11.3. პროფესიული სტუდენტი უნივერსიტეტთან გაფორმებულ ხელეკრულებაში უთითებს ელექტრონულ ფოსტას, რომლის მეშვეობითაც უნივერსიტეტი პროფესიულ სტუდენტს უგზავნის მნიშვნელოვან შეტყობინებებს და პროფესიული სტუდენტი ვალდებულია სისტემატურად გაეცნოს ელექტრონულ ფოსტას. უნივერსიტეტის მიერ პროფესიული სტუდენტისადმი ელექტრონული ფოსტით მიწოდებული ინფორმაცია ითვლება ჩაბარებულად.

მუხლი 12. დასკვნითი დებულებანი

12.1. სასწავლო პროცესის დახვეწისა და უკეთ ორგანიზების მიზნით უნივერსიტეტი ახორციელებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დებულების ცვლილებებს. დებულების ცვლილებები ექვემდებარება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე დაუყოვნებლივ გამოქვეყნებას.

12.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დებულების რომელიმე ნორმის ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობა გავლენას არ ახდენს დანარჩენი ნორმების იურიდიულ ძალაზე.